პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 30 ივნისი, 1943 წ. № 139 (6764). ფასი 20 კაპ.

## პარტიული ორგანიზაციები სოციალისტური შეჯიბრების სათავეში

დიდი ბელადის და მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებულმა ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობაში და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. საბჭოთა ხალხი გმირული შრომით ყოველმხრივ ეხმარება თავის პირმშოს—სახელოვან წითელ არმიას ვერაგი მტრის ჰიტლერელი ოკუპანტების საბოლოო განადგურებაში.

საქართველოს საწარმო - დაწესებულებებში და სოფლის მეურნეობაში უდიდესი შრომითი აღმავლობაა. სამეურნეო მეთაურებისა და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მშრომელები პატრიოტული თავდადებით იბრძვიან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის, გეგმების გადაჭარბებით განაღდებისათვის.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის პარტორგანიზაცია (პარტკომის მდივანი ამხ. ნეფარიძე) ყოველდღიურად ზრუნავს იმისათვის, რომ თითოეულმა მუშამ და ქარხნის მთელმა კოლექტივმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით შეასრულოს. პარტორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ მხრივ ჩამორჩენილ უბნებს. ამწყობი საამქრო პირველ კვარტალში გეგმის შესრულებაში ჩამორჩებოდა. აქ ყველა მუშა არც კი იყო ჩაბმული სოცშეჯიბრებაში. ამ საამქროს მუშაობას აფერხებდა საქვაბე, სალითონო და მექანიკური საამქროების ჩამორჩენა. ქარხნის პარტორგანიზაციამ შეისწავლა ამწყობი საამქროს ჩამორჩენის მიზეზები, დასახა და გაატარა საჭირო ღონისძიებანი. საამქროს პარტორგანიზაციამ გაუმჯობესა პარტიულ-მასობრივი მუშაობა და სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა. მეორე კვარტალში ამწყობმა საამქრომ მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესა. საამქროს კოლექტივმა მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და თავდადებით იბრძვის ივნისის გეგმის განაღდებისათვის. კომუნისტები ამ საამქროში სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მაგალითებს იძლევიან.

ტყიბულის მაღაროებსა და შახტებში გაჩაღდა ბრძოლა იმ ვალდებულებათა გასანაღდებლად, რომლებიც მათ ტყვარჩელის მაღაროელებთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით იკისრეს. პარტიული ორგანიზაცია კონკრეტულად ხელმძღვანელობს სოციალისტურ შეჯიბრებას. ლენინის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაცია (მდივანი ინჟ. ნ. კობახიძე) სისტემატურად ამოწმებს სოცშეჯიბრების მიმდინარეობას, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და მოწინაეთა გამოცდილებას მთელ კოლექტივს უზიარებს. სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლებში დაწინაურდნენ მეხუთე და მერვე უბნები გ. ფანჩულიძისა და გ. ჩიტიშვილის ხელმძღვანელობით. მათ დავალება 150-192 პროცენტით შეასრულეს. 18 ივნისს ამხ. ი. ცირეკიძის ცვლამ გეგმა 200 პროცენტით შეასრულა, ხოლო მთელმა მაღაროამ—104 პროცენტით.

წარმატებით იბრძვიან უხვი სამხედრო მოსავლისათვის, მათივე ინიციატივით გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეები. სოფ. თამარიანის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“, სოფ. ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის და სხვა კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე განიხილეს სოცშეჯიბრების მიმდინარეობის საკითხი და საქმიანად დაუხმარნენ კოლმეურნეებს აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. აქ კარგად უვლიან თამბაქოს ნარგავებს, სიმინდს და კარტოფილს; დროულად მოემზადნენ და უკვე შეუდგნენ ქერის მოსავლის მასობრივ აღებას. რაიონის კოლმეურნეობებში გაშლილია სააგიტაციო მასობრივი მუშაობა, მოწყობილია მოწინავეთა დაფები, რომლებზედაც აღნუსხულია ბრიგადების, რგოლების და ცალკეულ კოლმეურნეთა წარმატებანი და სხვ.

მაგრამ ლაგოდეხის რაიონში მოიპოვება ისეთი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ჩაუდგნენ სათავეში სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლას. მაგალითად, სოფელ ბოლქვის ხეთაგუროვის სახელობის, სოფელ არეშფერანის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციები არასაკმაოდ ხელმძღვანელობენ ნათესების დამუშავებისა და მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლის საქმეს.

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად იბრძვის სოცშეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის. აქ პარტბიუროს სხდომაზე და კრებებზე თუმცა იხილავენ საკითხს სოცშეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ, სახავენ ღონისძიებებსაც, მაგრამ მათი შესრულების შემოწმება სისტემატურად არ ხდება, საქმეს ბოლომდე არ მიჰყვებიან და ამით აიხსნება, რომ ზოგიერთ უბნებში ჩამორჩენა ისევ გრძელდება.

საჭიროა შევიგნოთ, რომ ვალდებულების აღება და სოცშეჯიბრების ხელშეკრულებათა გაფორმება მხოლოდ დასაწყისია. უმთავრესია ყოველდღიური ზრუნვა მისი განხორციელებისათვის, მისი შესრულება. პარტიულმა ორგანიზაციებმა პოლიტიკურ-მასობრივი და საგიტაციო მუშაობა ისე უნდა წარმართონ, რომ იგი ქმედით დახმარებას უწევდეს თითოეულ მუშაკს აღებულ ვალდებულებათა განაღდებაში. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებდეს ყველა საწარმო-დაწესებულება, კოლმეურნეობა, თითოეული მუშა, გლეხი, ინტელიგენტი. ამ საქმეში აქტიურად უნდა ჩავაბათ კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

სამშობლო, ფრონტი მოითხოვს მეტი და მეტი რაოდენობით მივაწოდოთ მას ქვემეხები, ტანკები, თვითმფრინავები, საომარი მასალა, საჭურველი და სურსათი. მგზნებარე საბჭოთა პატრიოტები სოციალისტურ შეჯიბრებას აჩაღებენ, გაორკეცებული ენერგიით შრომობენ დიდი ბელადის და მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანების შესრულებისათვის, ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარებისათვის. პარტიული ორგანიზაციების ვალია სათავეში ჩაუდგნენ და კონკრეტულად უხელმძღვანელონ მასების თავდადებულ შრომას ვმირი წითელი არმიის დასახმარებლად.

### რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

## რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გაძაღების შესახებ

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

ომიანობის დროის გარემოებათა გამო კიდევ ერთი წლით გადაიდოს რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

აღნიშნული ვადით განგრძობილ იქნას რსფსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება.

## წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლებისა და მეთაურების დაჯილდოება ამერიკის ორდენებითა და მედლებით

გულადობისა და მამაცობისათვის, რაც გამოჩენილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საერთო მტერთან — ჰიტლერულ გერმანიასთან ბრძოლის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სარდლობის დავალებათა შესრულებისას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთელი რიგი მებრძოლნი და მეთაურნი. მათ შორის ორდენით „ჯვარი საბრძოლო დამსახურებისათვის“ **ნ. ტ. თავართქილაძე** და ორდენით „ღირსშესანიშნავი სამსახურისათვის“—1-ლი რანგის ზემდეგი **ვ. გ. სეხნიაშვილი.**

ვინაიდან დაჯილდოებულნი მოსკოვში არ იმყოფებიან, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სსრ კავშირში ბატონმა ვ. სტენდლიმ 22 ივნისს ამერიკის ორდენები და მედლები გადასცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს **ვ. მ. მოლოტოვს** დაჯილდოებულთათვის გადასაცემად.

## წითელი არმიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მასალებით წითელი არმიის უზრუნველყოფის საქმეში სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი არმიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის **ჯგუფი.** მათ შორის დაჯილდოებული არიან:

**ლენინის ორდენით:**

1. **ფაღავა** სერაპიონ თადას-ძე—ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი.

**მედლით „შრომითი მამაცობისათვის“**

1. **ტკაჩოვი** ივანე ტროფიმეს-ძე.

**მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“**

1. **გიგინეიშვილი** ვალენტინ მირიანის-ძე.

## ჩაის გაღამმუშავებელი მოწინავე ფაბრიკები

სრულიადსაკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, განსილეს რა 1943 წლის მაისის სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გამოარჩიეს ერთხმად სცნეს საქართველოდან შემდეგი საწარმოები: წალენჯიხის ჩაის გადამმუშავებელი ფაბრიკა (დირექტორი ამხ. კვარაცხელია), რომელსაც მიეცა **მეორე** პრემია, დიდიუყონისა (დირექტორი ამხ. ჩაგუნავა) და მაღლაკის (დირექტორი ამხ. შონია) ჩაის გადამმუშავებელი ფაბრიკები, რომელთაც მიეცათ **მესამე** პრემიები.

## დაინწყო ქერის მოსავლის აღება

**მცხეთა** („**კომუნისტის**“ **კორ.**). 28 ივნისს წეროვნის მინდვრებზე დაიწყო ქერის მოსავლის აღება. ქერის აღებაზე მუშაობს მტს-ის კომბაინი, პირველ დღეს კომბაინმა (კომბაინერი გ. სოხიაშვილი, მექანიკოსი ვ. გულინაშვილი, ტრაქტორისტი მ. ირემაშვილი) კეკოველის სახელობის კოლმეურნეობაში გადაუარბებით შეასრულა ქერის აღების დაწესებული ნორმა. კოლმეურნეობა საშუალოდ თითოეული ჰექტარიდან ღებულობს 18,5 ცენტნერ ქერს. მტს-ის კომბაინები სამუშაოდ გაიგზავნა აგრეთვე კორგანისა და ძალისის კოლმეურნეობებში.

**აქ. ჟირია**

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 29 ივნისის დილის ცნობა

28 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

**დასავლეთის** ფრონტის ცალკეულ უბნებზე ჩვენი ქვეითი ჯარის პატარა-პატარა ჯგუფები დაზვერვას ეწეოდნენ. მზვერავებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 200-მდე ჯარისკაცი და ხელთ იგდეს ტყვეები.

* * *

ბელგოროდის **რაიონში** ნ ნაწილის პოზიციებზე გერმანელთა 5 თვითმფრინავი გამორნდა. მათ წინააღმდეგ აფრინდნენ საბჭოთა ავიამამანადგურებლები. მოახდარ საპაერო ბრძოლაში უმცროსმა ლეიტენანტმა კულტურნიმ გაიყოლია ორი „მესერშმიტი“ და ოსტატური მანეგრით ჩამოაგდო გერმანელთა ერთი თვითმფრინავი. მტრის მეორე მანქანა მოსპო უმცროსმა ლეიტენანტმა ბიშკომ. ახალგაზრდა მფრინავმა, სერჟანტმა შაპკინმა შეუპოვარ ბრძოლაში ჩამოაგდო მოწინააღმდეგის მესამე თვითმფრინავი. გერმანელთა ორმა დანარჩენმა თვითმფრინავმა ბრძოლას თავი აარიდა.

* * *

სუმის **რაიონში** საბჭოთა ქვეგანაყოფებმა ჩაშალეს მოწინააღმდეგის მზვერავი რაზმების ცდები—შემოეღწიათ საბჭოთა ნაწილების განლაგებაში. ერთ უბანზე ჩვენმა მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ მტრის მიერ დაკავებულ ყორღანს გერმანელთა ერთი ოცეული ქვეითი ჯარი და მეავტომატენი იცავენ. შემდგომი დაზვერვით ცხადი გახდა, რომ გარკვეულ საათს გერმანელები სადილად მიდიან, ყორღანზე კი მხოლოდ საყარაულო რაზმს სტოვებენ. როცა ჰიტლერელები სადილად წავიდნენ, გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი ზირიანოვი და წითელარმიელი ობუხოვი გერმანელთა სანგარში შეიჭრნენ, მოსპეს მოწინააღმდეგის საყარაულო რაზმი, ტყვედ ჩაიგდეს გერმანელი ეფრეიტორი და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მოწინააღმდეგის მზვერავმა რაზმმა წინ წამოიწია ნეტრალურ ზონაში და იწყო თვალთვალი. ჩვენმა მებრძოლებმა ამხ. არხიპოვის მეთაურობით მტრის მზვერავებს უკანდასახვევი გზა გადაუჭრეს, გაჩაღებულ ბრძოლაში მოჰკლეს 11 გერმანელი ჯარისკაცი და ლეიტენანტი, ტყვედ ჩაიგდეს 2 გერმანელი ობერ-ეფრეიტორი და რამდენიმე ჯარისკაცი.

* * *

ჟიტომირის ოლქის ერთ-ერთ **რაიონში** მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა „ბატკა ბოჟენკომ“ ნაღმებზე ააფეთქა გერმანელთა სამხედრო ეშელონი. მოსპობილია ორთქლმავალი და 8 ვაგონი გერმანელ ჯარის კაცებიანად. დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ ვაგონების ნამსხვრევებიდან გერმანელებმა გამოიღეს 60 მოკლული და მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა 220-ე ქვეითი პოლკის ჯარისკაცი ოზეფ ლ. მან განაცხადა: „გერმანული გაზეთები ცდილობენ ყოველნაირად მიჩქმალონ გერმანიის სამრეწველო ცენტრებზე ინგლისისა და ამერიკის ავიაციის თავდასხმების მნიშვნელობა. ჩვეულებრივ ყოველი დაბომბვის შემდეგ გაზეთები სწერენ, ბომბებმა მხოლოდ საავადმყოფოები, თეატრები დაანგრიეს, მრეწველობა კი არ დაზარალებულა და შეუფერხებლად განაგრძობს მუშაობასო. ყველას ესმის, რომ ეს სიცრუეა. ჩვენი ასეთი ჯარისკაცმა კარლმა დორტმუნდიდან მიიღო ცოლის წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ქალაქი 60-70 პროცენტით დანგრეულია. მცხოვრებნი თავზარდაეცემულნი არიან. ჩვენ დიდიხანია გავიქცეოდით ეგზო-უკვლოდ, მაგრამ უნებართოდ წასვლა არ შეიძლება“. ჯარისკაცმა რუდოლფმა მაჩვენა საცოლისაგან მიღებული წერილი. საცოლო სწერდა მას: „თუ ჯარისკაცები შინ მალე არ დაბრუნდებიან, იმათ შეიძლება მხოლოდ ნანგრევები დახვდეთ. როდის გათავდება ყოველივე ეს? როდის დაბრუნდებით რუსეთიდან? ალბათ მაშინ, როცა არავინ ჩვენგანი ცოცხალი აღარ იქნება“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ სისხლიანი ბოროტმოქმედების შესახებ, რომელიც ჩაიდინეს გერმანელმა დამპყრობლებმა სმოლენსკის ოლქის სოფელ კლინში.

„ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერლებმა, შევადგინეთ შემდეგი აქტი. ტყის პირას, სოფელ კლინის მახლობლად, ჩვენ აღმოვაჩინეთ გერმანელთა მიერ ნაწამები ექვსი ქალიშვილისა და სამი ხნიერი მამაკაცის გვამები. ერთ ქალიშვილს ფუპოვნეთ შემდეგი შინაარსის წერილი: „ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ ძალით მიგვერეკებიან კატორღულ სამუშაოზე. ჩვენ არ წავალთ გერმანიაში. უმჯობესია მოგკვდეთ მშობლიურ მიწაზე, მაგრამ აქედან ფეხს არ დავძრავთ. ნინა კუდრიაშევა, 1927 წელს დაბადებული, სვიტი, სმოლენსკის ოლქი“. სოფლის გასადევარზე ორმოში აღმოჩნდა ორი მოზარდის გვამი, რომელთაც კისერზე თოკის ნაგლეჯი ჰქონდათ მოჭერილი“. აქტს ხელს აწერენ: ნ ნაწილის მებრძოლნი — ბ. ბაჩინსკი, მ. შოფეროვა, სოფელ კლინის კოლმეურნე ქალები—ს. ალექსანდროვა და ა. ალექსანდროვა

* * *

ბერძენმა პარტიზანებმა თესალიაში ააფეთქეს გვირაბი და რკინიგზის ხიდი. სხვა რაიონში პატრიოტებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონი. ვაგონების ნანგრევებში დაიღუპა რამდენიმე ათეული გერმანელი ოკუპანტი.

## 29 ივნისის საღამოს ცნობა

29 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე კანტიკუნტი სროლა იყო. ჩვენმა ნაწილებმა გერმანელთა ერთ ასეულამდე ჯარი მოსპეს და მოწინააღმდეგის რამდენიმე საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი ჩაახშეს. ერთ უბანზე ჰიტლერელთა რაზმმა სცადა დაეზვერა ჩვენი თავდაცვის წინა კიდე. ნ ქვეგანაყოფის მებრძოლებმა მოწინააღმდეგე ახლო მანძილზე მოუშვეს და ტყვიამფრქვევისა და თოფის ზალპური სროლა აუტეხეს. გერმანელებმა რამდენიმე ათეული მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი დასტოვეს მავთულღობურების წინ და უწესრიგოდ დაიხიეს.

* * *

სევსკის **რაიონში** ჩვენმა არტილერისტებმა სროლა აუტეხეს რკინიგზის ეშელონს, რომელიც მოწინააღმდეგეს ჯარები გადაჰყავდა. ყუმბარების პირდაპირი მოხვედრებით დამტვრეულია რამდენიმე ვაგონი. ჩვენი მზვერავების ჯგუფი უმცროს ლეიტენანტ კოროლის მეთაურობით მოწინააღმდეგის სანგარსა და ბელფლებში შეიპარა. მზვერავებმა 20-მდე ჰიტლერელი მოსპეს და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ბელგოროდის **რაიონში** ს ნაიპერმა ამხ. კონკინმა სამ დღეში 8 ჰიტლერელი მოჰკლა, ს ნაიპერმა ამხ. ფატულაევმა—4, გვარდიის წითელარმიელმა ალექსანდრე გორიაჩევმა რამდენიმე დღეში 13 გერმანელი მოჰკლა.

* * *

დონის **როსტოვის** დასავლეთით ჩვენი ქვეგანაყოფები დაზვერვას ეწეოდნენ და ცეცხლითი ბრძოლა ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან. ერთ უბანზე ლეიტენანტმა უაისოვმა გერმანელთა სანაღმტყორცნო ბატარიის ადგილმდებარეობა გამოარკვია. ლეიტენანტმა ქვემეხი წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე გამოაგორა და პირდაპირი დამიზნებით მოსპო მტრის სანაღმტყორცნო ბატარია მისი გუნდიანად.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე კანტიკუნტი სროლა სწარმოებდა. ჩვენმა არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა დაანგრიეს გერმანელთა 3 ძელმაწყური საცეცხლე წერტი, მოსპეს 2 ტყვიამფრქვევი და 6 ავტომანქანა ტვირთიანად და გაჰფანტეს გერმანელთა რამდენიმე ჯგუფი, რომელნიც ცდილობდნენ მოახლოებოდნენ თავდაცვის წინა ხაზს. ნ ნაწილის მზვერავი რაზმი მოწინააღმდეგის სანგრებში შეიჭრა. ხანმოკლე ბრძოლაში ჩვენმა მებრძოლებმა უნტეროფიცერი და რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცი მოკლეს.

* * *

უკრაინის ერთ-ერთ **რაიონში** მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელ ჯარისკაცებს, რომელნიც სამ ხიდს იცავდნენ გზატკეცილზე. პარტიზანებმა ჰიტლერელები ცაელეტეს, ხიდები დასწეს და ხელთ იგდეს 1 ტყვიამფრქვევი, 30 შაშხანა, 60 გრანატი და 2.000 ვაზნა. ორი დღის შემდეგ ამავე რაზმის პარტიზანებმა ნაღმებზე ააფეთქეს გერმანელთა ავტომანქანა. მოკლულია „სს“-ელთა სადამსჯელო რაზმის სამი ოფიცერი.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა 1-ლი ქვეითი დივიზიის ჯარისკაცმა ჰენრიხ რამ განაცხადა: „ასეული, რომელშიც მე ვმსახურობდი, ინვალიდთა რაზმს მაგონებდა და არა საბრძოლო ქვეგანაყოფს. ყოველ ორ ჯარისკაცში ერთს ჭრილობება აქვს. ზოგიერთი ჯერ კიდევ არ მორჩენილა ჭრილობის შემდეგ. მაისში ასეულს შეესვა მოუვიდა, მოსულთა შორის 10 კაცს სერიოზული ფიზიკური ნაკლი აქვს. შეესება ცუდად არის გაწრთვნილი სამხედრო საქმეში. ბევრმა ტყვიამფრქვევის ხმარება არ იცის. ასეულს ორ კვირაში 40 ჯარისკაცი დაჰკარგა მოულოლია სახით საბჭოთა არტილერიისა და სნაიპერების ცეცხლისაგან“.

* * *

ნორვეგიიდან გამოქცეულმა პატრიოტებმა ჩამოიტანეს იმ მძიმე და აუტანელი პირობების ამბავი, რომლებშიც გერმანელების ხელში ტყვედ ჩავარდნილი წითელარმიელები იმყოფებიან. გერმანელებმა რუსი სამხედრო ტყვეები აიძულეს ემუშავნათ სიმაგრეების მშენებლობაზე ქ. კირკენესის მახლობლად, ჩრდილოეთ ნორვეგიაში. სამხედრო ტყვეები შერჩენილი დაძონძილი ტანისამოსით მუშაობდნენ ზამთარში, საშინელ სუსხიან ყინვაში. ჰიტლერელები შიმშილით ხოცავენ ტყვეებს. მძიმე შრომაში მათ სულ 150 გრამ პურს აძლევენ დღე განმავლობაში. ტყვეები პირდაპირ წყდებიან შიმშილით, სიცივით, ავადმყოფობით და გერმანელების მხრივ მზეკუცრი მიპყრობით. რუსებს სულ უმნიშვნელო სამაბით ხვრეტენ. მომკვდართა და დახვრეტილთა გვამებს იმ ბარაკებთან ჰყრიდნენ, რომლებშიც სამხედრო ტყვეები ცხოვრობენ.

* * *

ჰელებერში (დანია) დანიელ პატრიოტთა შეიარაღებული ჯგუფი შეიპარა საფეიქრო ფაბრიკაში, რომელიც გერმანელებისათვის მუშაობდა. პატრიოტებმა ცეცხლი წაუკიდეს ფაბრიკის კორპუსებსა და ნედლეულს მარაგის საწყობებს. ხანძარმა დიდი ზარალი მიაყენა ოკუპანტებს.

## სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოება

**საჰაერო-სადესანტო ჯარების** ნაწილების ფორმირებასა და საბრძოლო მომზადებაში **სარდლობის** დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის **სსრ** კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **სსრ** კავშირის ორდენებითა და მედლებით **დაჯილდოებულია** წითელ არმიის უფროსთა, რიგითი და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის **„საპატიო ნიშნის“** ორდენით **დაჯილდოებულია** მაიორი **აკაკი სოლომონის-ძე გამრეკელაშვილი.**

## უცანასკნელი ცნობები

### შვეიცის გემები გერმანიის სამსახურში

**სტოკჰოლმი,** 27 ივნისი (საკუდსი). გაზეთმა „ფოლკსვილიანმა“ 25 ივნისს მოათავსა სტატია „შვეიცის გემები გერმანიის სამსახურში“. ამ სტატიაში გაზეთი სწერს შემდეგს: „ხშირად წაიკითხავ, რომ ჩაძირულ იქნა შვეიცის გემები, რომლებსაც აშკარად შესამჩნევი განმასხვავებელი ნიშნები აქვთ. ასეთი ნიშნები შვეიცის ყველა გემს აქვს. ეს ნიშნები იმ გემებსაც კი აქვთ, რომლებიც გერმანიის სამხედრო ფლოტის მიერ არიან დაქირავებულნი და მისივე კომანდით ეწევიან ნაოსნობას. ამგვარად გერმანიის დაქირავებული ჰყავს შვეიცის დიდძალი ჩასასხმელი გემი მათი ეკიპაჟებიანად. ეს გემები შვეიცის ბაირაღითა და შვეიცის განმასხვავებელი ნიშნებით რეგულარულად ეწევიან ნაოსნობას გერმანიასა და ნორვეგიის ნავსადგურებს შორის, აგრეთვე გერმანიასა და ფინეთს შორის. **შვეიცის** ნავსადგურებში ისინი ზხოლოდ ერთი ნაოსნობიდან მეორემდე შედიან. ისინი რეალურად შედიან ტრელებორგშიც, სადაც სურსათს იღებენ. ამ გემებს შორის არის 200-ტონიანი თბომავალი, რომელიც კვირაში ორჯერ დადის ბრემენსა და ჰამბურგს შუა, და ასეთივე ტონაჟის თბომავალი, რომელიც მთელი ზამთრის განმავლობაში იდგა გერმანიის ერთ-ერთ ნავსადგურში და საწვავს აწვდიდა წყალქვეშა ნავებს. ახლა მას ფისი გადააქვს შვეიციიდან გერმანიაში. გარდა ამისა, 15.000 ტონა წყალწყვის ერთ გემს ნავთი და ბენზინი გადაქვს გერმანიიდან ფინეთში, ხოლო 8.000 ტონა წყალწყვის მეორე გემი რეგულარულად დადის გერმანიასა და ნორვეგიის შუა. ადვილად შეიძლებოდა დაგვესახელებინა შვეიცის კიდევ 20-მდე გემი, რომლებიც დაქირავებულია გერმანელების მიერ“.

### დეზერტირობა რუმინეთის არმიაში

**სტამბოლი,** 28 ივნისი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, რუმინეთის არმიაში დეზერტირობამ საშიში ხასიათი მიიღო. ნაწილთა მეთაურები გაზეთების საშუალებით მიმართავენ დეზერტირებს, და მოუწოდებენ დაბრუნდნენ არმიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი სასჯელით ემუქრებიან. მაგალითად, რუმინულ გაზეთ „აქციუნიაში“ გამოქვეყნებულია რუმინეთის სამხედრო ხელისუფალთა განცხადება, რომლითაც ისინი აფრთხილებენ 30-ე საარტილერიო პოლკიდან გაქცეულ პირებს, რომ თუ არ აცნობებენ სარდლობას თავიანთ ადგილსამყოფელს და ამის შემდეგ შეპყრობილი იქნებიან. მათ სასტიკად დაჯიან, დეზერტირთა გამოქვეყნებულ სიაში მოხსენებულია 1 უმცროსი ლეიტენანტი, 4 ფელდფებელი, 3 სერჟანტი, 1 კაპრალი და 18 ჯარისკაცი.

### ჰიტლერელთა ზურგი მჯიდრ არ არის

**სტამბოლი,** 28 ივნისი (საკდესი). თურქულ გაზეთ „ტანის“ რედაქტორი სერტელი, რომელიც ემყარება გერმანიიდან ჩამოსულ პირთაგან მიღებულ ცნობებს, სწერს, რომ გერმანიაში ძლიერდება შიმშილი და მორალური გახრწნა. გერმანიის მთელ რიგ ადგილებში მოსახლეობამ დაარბია მაღაზიები.

„გერმანიაში შექმნილ მდგომარეობას, — სწერს ავტორი, — გვიჩვენებს შვეიცარიის საზღვრის ახლო მდებარე გერმანულ ქალაქ კონსტანციის ვითარება. ქალაქში ალარ დარჩა მაცხრობითი სქესის მოზრდილი მოსახლეობა, ვინაიდან მთელი ეს მოსახლეობა არმიაშია გაწვეული. ამ ქალაქის მცხოვრებ მამაკაცთა უმეტესობა პაულიუსის ჯარებთან ერთად დაიღუპა სტალინგრადთან. ქალაქის დუქნებისა და მაღაზიების უმეტესობა დახურულია, ვინაიდან ამ სავაჭრო საწარმოთა მფლობელნი და მოსამსახურენი გაწვეულნი არიან „ტოტალური მობილიზაციის“ წესით. ჰიტლერელი მოხელენი სასურსათო ბარათებს იპარავენ და პროდუქტებს იმარაგებენ“.

სერტელი სწერს, კონსტანციასაკენ უკეთესი მდგომარეობა არც გერმანიის სხვა ქალაქებში არისო.

## ზადეუშ კოსციუშკოს სახელობის დივიზიის პირადი შემადგენლობის წერილი საბჭოთა კავშირის მარშალს. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინისადმი

თარგმნილია პოლონურიდან

**1943 წლის 17 ივნისი.**

## საბჭოთა კავშირის მარშალს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს—ი. ბ. სტალინს

**მოსკოვი**

ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პოლონური დივიზიისა და ჩემი სახელით გთხოვთ თქვენ, მოქალაქე მარშალო, მიიღოთ მხურვალე მადლობა გამოგზავნილი მისალმებისათვის.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირის დახმარებით განხორციელდება ჩვენი იმედი ძლიერი და დამოუკიდებელი პოლონეთის აღდგენისა.

ვალდებულებას ვკისრულობთ პატიოსნად და ერთგულად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა საერთო მტრის გასანადგურებლად.

ჩვენი გული ღრმად არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის მხურვალე სურვილით. პირობას გაძლევთ თქვენ, მოქალაქე მარშალო, რომ მთელ ჩვენს ძალღონეს იმას მოვანდომებთ, რომ განვამტკიცოთ ეს მეგობრობა და მუდამ მადლობით მოვიგონებთ იმ დახმარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი გვიწევს ძლიერი და დამოუკიდებელი პოლონეთის აღდგენაში.

**ს. ბერლინგი, ა. სიკიციკი, კინევიჩი, სოკოტრსკი და სხვ.**

**ხელს აწერს ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობა.**

**შენიშვნა:** ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის დივიზიის პირადი შემადგენლობის წერილი საბჭოთა კავშირის მარშლის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინისადმი ა. წ. 29 ივნისს გამოქვეყნდა ცენტრალურ პრესაში პოლონურსა და რუსულ ენებზე.

## ლიტვა არ არის დამორჩილებული

დაახლოებით ორი წელია გრძელდება გერმანელი ფაშისტების სისხლიანი თარეში ლიტვაში. ლიტველთა მასობრივი დახვრეტითა და მკვლელობით, ლიტველი პატრიოტების საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში დამწყვდევით—ასეთი საზიზღარი საქმეებით არის აღბეჭდილი ჰიტლერელთა ბატონობა. ფაშისტების მიერ მოწყობილი ზოცვა-ყლეტის მასშტაბს გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: პივონიის ტყეებში მოკლულ იქნა 12.000 კაცი, პანევეჟისში—8.000, არნოგაკაში—500, ვილკავიშკისის მახლობლად—200, ასობით კაცი სიკვდილით დასაჯეს მაკეიკიაში, ლაიფუვში, რასეინიაიში და სხვა ადგილებში. ამით დაიწყეს გერმანელმა ოკუპანტებმა თავიანთი „ახალი წესრიგის“ დამყარება ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკაში.

რესპუბლიკისთვის მძი

**რ. ჟოჩარი**

# ჭარიელის შვილი

ბრძოლის ველზე ჩამოწვა მძიმე საღამო. სიბნელემ მოიცვა დონის არე-მარე, მაგრამ საარტილერიო ცეცხლი ჯერ კიდევ გრძელდება. ნიავს ყრუ ხმები მოაქვს, გეგონებათ, დაკრილი მხეცები ღმუიანო. მიწაც კი გმინავს მძიმე და უჩვეულო ტვირთისაგან. ყველა ეს ხმა გვარდიის ნაღმსატყორცნების ხანგრძლივი და საზარელი ქუხილითა და გუგუნით იჩრდილება. ჰაერი ივსება ცეცხლით, უზარმაზარი ისრების კონები ვარდისფერ ალში გახვეული მოექანებიან ძირს და თან მოაქვთ საზარელი ხმაური და ხრიალი. მოპირდაპირენი ღამის სიბნელეში პარაშუტებზე მიმაგრებულ რაკეტებს უშვებენ თვითმფრინავებიდან... გაშბურტებელ სინათლეზე გამოჩნდებიან ხოლმე მებრძოლთა ტანსაცმელში გახვეული ადამიანები, რომელნიც მიწაზე მწკრივად გაწოლილან. ისინი ცოცვით მიიწევენ მტრისაკენ, მტერს უახლოვდებიან, რათა დარტყმა უფრო მკვეთრი და ეფექტიანი იყოს.

ეს ერთ-ერთი მძიმე ბრძოლა იყო. დილა ადრიან დაიწყო ეს შეუპოვარი ბრძოლა, აგერ საღამოა და ჯერაც არ შეწყვეტილა.

ერთხელაც იგრიალეს ზარბაზნებმა, ხანგრძლივად და უფრო ძლიერად, და შემდეგ უცებ დადუმდნენ. შეწყდა ადამიანთა ხმაური, რომელიც უერთდებოდა და შეუმჩნევლად იკარგებოდა ქარის ზუზუნთან ერთად.

ახლა ქვეითი ჯარი მიდიოდა შეტევაზე. სიბნელეში ადამიანები ერთმანეთის სახეს ვერ ხედავენ, ეს სახეები სავსეა მრისხანებით. ყინვას და ქარს მათი სახეები შავად შეუტრუსავს და დაუფაკაცებია. ისინი ძალ-ღონეს იზოგავდენ სიმტკიცეს იმატებდენ უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლებისათვის... ქვეითი ჯარი სოფელში შეიჭრა. ერთი საათის შემდეგ თითქოს ყველაფერი დაწყნარდა და დამშეიდდა.

ზარბაზნებმა იცვალეს თავიანთი საცეცხლე ადგილები და მძიმედ წინ წაიწიეს. მეკავშირეებმა სანგრებიდან მოხსნეს სატელეფონო ქსელი, მთელი მოწყობილობა ზურგზე წამოიკიდეს და დაკავებულ სოფლისაკენ გასწიეს. ადგილიდან დაიძრა საველე სამზარეულოც...

შუაღამისას ახლად დაკავებულ სოფლის ჭიშკართან ერთ ორმოში დაფარული ავტომანქანას მიუახლოვდა ის ადამიანი, რომლის ნებისყოფას ემორჩილებოდა ბრძოლის მსვლელობა და რომლის ნებისყოფაზეც დამოკიდებული იყო ამ ბრძოლის საგმირო მომენტები. ეს ადამიანი ხელმძღვანელობდა მთელ ამ ბრძოლას. მებრძოლებმა იცნეს ის სიბნელეში და გზა დაუთმეს.

— მანქანაში თბილა?—იკითხა მან.

— დიახ, ღუმელი ანთია...

ის ავიდა მანქანაზე. ქუთი ლურსმანზე ჩამოჰკიდა, ფარაჯა გაიხადა და რეოლვერი ზაგიდაზე დასდო.

— დაუძახეთ არტილერიის უფროსს...

რამდენიმე წუთის შემდეგ მასთან გამოცხადდა არტილერიის უფროსი.

— ზუსტად მითხარით! პირველი—ხვალინდელი ბრძოლისათვის რამდენი საომარი მასალაა დარჩენილი. მეორე—პირადად შეამოწმეთ, ბრძანების თანახმად ახალ სანგრებში, როგორია განლაგება, და მესამე—დღევანდელი გმირები წარადგინეთ ჯილდოზე, გამოუცხადეთ მათ და მთელ შემადგენლობას ჩემი მადლობა. გთენებისას ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით...

— არის.

— აბა ახლა საქმეს მიხედეთ!

არტილერიის უფროსის წასვლის შემდეგ მეთაურმა მოითხოვა ყველა ქვეგანაყოფიდან მტრის დანაკარგისა და ზარალის შესახებ მიღებული ცნობები. ესენი მშრალი ციფრები იყო, რომელნიც მთელ ეპოპეას წარმოადგენდნენ. მტერს რამდენიმე ათასი ჯარისკაცი დაეტოვებია ერთი დღის განმავლობაში, განადგურებულია ორი საარტილერიო დივიზიონი, ნაღმსატყორცნელთა ათობით შენაერთები. ყველა ისინი მოსპობილია ჩვენი საარტილერიო ცეცხლით. ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნებით ნოსპობილია მტრის რამდენიმე ათეული ტანკი. ჩვენი თვითმფრინავები ელვის სისწრაფით თავს დაესხნენ აეროდრომს და მტერს არ მისცეს საშუალება გადაერჩინა თავისი საომარი მასალები, ჩვენებმა იქ ხელთ იგდეს რამდენიმე ათეული თვითმფრინავი, რომლებიც გამზადებული იყო გასაფრენად. ტყვეების რიცხვი რამდენიმე ასეულს აღემატება.

— კარგია, კარგი, — ჩაილაპარაკა თავისთვის მეთაურმა და ფურცელი მაგიდაზე დასდო, მიუბრუნდა თავის შტაბის უფროსს და კელავ განაგრძო.

— კარგად იბრძოლეს ჩვენმა არწივებმა. სუფთაოდ მათ ალბათ სასწაულთმოქმედებს და დევ-გმირებს უწოდებდა...

— მძიმე ბრძოლა იყო. მაგრამ სასიამოვნოა, როდესაც ხედავ, რომ მტერი მოტყუებულია. პირისპირ ძნელი იყო რიცხვობრივად ჭარბ ძალასთან შეხლა... ხედავთ რას ნიშნავს, მტერს რომ ფრთებს შეუკვეცავ... შეიპერი მტრის განლაგებაში, შეაჭერი ფრთები და მისი სხეული სისხლში ამოსვრება... ჩვენი გამოცდილება დღევანდელი ბრძოლის შედეგად კიდევ უფრო გამდიდრდა... ყოველი შემოტევის ბედი ფლანგებზე სწყდება. თავიდან ბოლომდე შენი ნაწილების ფლანგები მტრის ყურადღებას იპყრობს, აი ამ წერტილიდან მოელის საპასუხო შეტევას და იქით მიმართავს დარტყმას... უზარუნველყავი შენი ფლანგები და შეუპოვრად წინ წადი... დაარტყი მტრის ფლანგებს, რკალში მოიმწყვდიე ის და მოსპე. ეს ისე უნდა მოახერხო, რომ მტერი განზრახვას ვერ მიგიხვდეს, და გამარჯვება შენია...

— სწორედ ასეა,—უმოწმებს მოსაუბრე,— მაგრამ ოპერაციის ხელმძღვანელის უნარზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ყოველი მოხერხებული გეგმა ჩაიფუშება, თუ მეთაურს არა აქვს გმირობის, სიმტკიცისა და გამჭრიახობის უნარი. დღევანდელმა გამოცდამ ეს ძველი ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ დადასტურა.

მეთაურმა გაიღიმა და დაუმატა:

— ნელი მოქმედება და პაუზები, რასაკვირველია, ხშირად გამარჯვების მტრები არიან. დიახ, დღეს ჩვენ ძალ-ღონე არ დაგვიზოგავს.

... მარტი დაიწყო მძიმე და მკაცრ პირობებში. მტრის ძლიერი შემოტევის გამო ჩვენი ცხენოსანი რაზმი შეჩერდა. დაზვერვამ გვაცნობა, რომ დაახლოებით ორი ასეული ტანკით და ქვეითი ჯარით მტერი ამზადებდა საპასუხო დარტყმას. შეიქმნა მძიმე და სერიოზული მდგომარეობა. იმ დროს, როდესაც ცხენოსანი რაზმის მეთაური გამოსავალს ეძებდა, მასთან მიიჭრა დაბალი ტანის ვაჟკაცური გამომეტყველების კაცი და მოახსენა:

— ნება მომეცით თქვენი საბრძოლო ხაზი გადავიტანოთ ჩვენს ნაწილში და დილით ბრძოლა დავიწყოთ...

— თქვენ იცით, როგორია მტრის ძალები?

— მაქეს დაწვრილებითი ცნობები.

— ძნელი იქნება ამდენი ტანკების შემოტევის სიმძიმის ატანა.

—დიახ, ვიცი ძნელია, მაგრამ გამარჯვებაც ძნელი მოსაპოვებელია. ჩვენ მათს შეუპოვრობას გავტეხთ და წინ წამოსვლის საშუალებას მოვუსპობთ.

**გვარდიის გენერალ-მაიორი ნ. ტ. თავართქილაძე**

— კარგია ასეთი რწმენა.

გათენებისას ის ელოდა მტრის შემოტევას. მეთაურმა ყველა ქვეგანაყოფები დაიარა. ყველასთან მივიდა, თავისი სიმტკიცით გამარჯვების რწმენა უფრო განუმტკიცა. მაგრამ საჭირო იყო კიდევ ერთი რამ, ის, რომ მტრისათვის უნდა გვეჩვენებინა, ვითომ ჩვენ პირდაპირ მივდიგართ შეტევაზე. ასეც მოხდა: დაიწყო შეტევა. ჰიტლერელმა სტრატეგებმა მთელ ძალებს ერთ ადგილას მოუყარეს თავი. ბრძოლაში გამოუშვეს ტანკებიც და ამ დროს ჩვენმა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიამ სატყვიანებრო სროლა ასტეხა, მტრის ტანკები შიგ შუაცეცხლში მოექცნენ. კვამლი და ცეცხლის ალი ამოდიოდა ტანკებიდან, ისინი ერთ ადგილზე შეჩერდნენ. მოდიოდნენ ახლები და ისინიც ასევე ერთ წერტილზე იყინებოდნენ. უკანდახევა იმას ნიშნავდა, რომ მოპირდაპირისათვის დაეთმოთ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტი, არა და წინ წასვლა უკვე შეუძლებელი იყო. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა და იქამდე მიაღწია, რომ ბრძოლის ველი დაიფარა კვამლში გახვეული ტანკების ჯგუფებით. ამ დროს მეთაურმა ტანკებს შეუსია -მეავტომატეები. სწრაფად დაიკავა მტრის მიერ დაკავებული ადგილი და გააძლიერა არტილერიის ცეცხლი. საღამო ჟამს მტერმა უკანდახევა იწყო. ჩვენმა ქვეითმა ჯარმა ამ დროს დაიწყო ძლიერი შეტევა მტრის განლაგებაზე, მოსწყვიტა ფლანგები, მოიმწყვდია შუაში და შეუდგა მის მოსპობას. დაიწყო პანიკა, მტერი იარაღს ჰყრიდა და გარბოდა მეზობელი სოფლისაკენ. ჩვენმა ჯარებმა სწრაფად დაიკავეს აეროდრომი, რომელიც ამ სოფლის მისასვლელში იყო. მტერს უკანასკნელი დასაყრდენიც მოვუსპეთ. იმ ღამეს ჩვენმა ჯარებმა სოფელი დაიკავეს...

გათენებისას შუა ტანის ახალგაზრდა, მაგრამ ჭაღალი სამხედრო წოდების მეთაური ერთი შენაერთიდან მეორეში გადადიოდა, პირადად თვითონ ხელმძღვანელობდა ცეცხლს. ბრძოლის მძიმე წუთებში მას ხშირად ხედავდნენ მებრძოლები და ესმოდათ მისი ლაპარაკის ვაჟკაცური ხმა, ირგვლივ მტრის ნადმები სკდებოდა, მათი ნამსხვრევები ზუილით იფანტებოდა ცაში. თანაშემწეები უფრთხილდებოდნენ თავიანთი მეთაურს, მაგრამ მას ამაზე ფიქრის დრო არა ჰქონდა, პირადად უნდა ეხელმძღვანელნა ბრძოლის მიმდინარეობისათვის, არ უნდა დაეშვა არც ერთი პაუზა და მოუქნელობა. ცეცხლი ცვიოდა ციდან, მაგრამ ის შეუპოვრად, მტაც�d მიაბიჯებდა. თვალის ქუთუთოები დასწითლებოდა. თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა და ვეფხვივით ჰქუხდა, როდესაც შეამჩნევდა ბრძოლაში ნელ მოქმედებას. მხოლოდ შუაღამისას, როდესაც ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა, ის დაღლილ-დაქანცული ავიდა მანქანაზე დასასვენებლად. მაგრამ გმირისათვის ხომ დასვენება არ არსებობს. ის ძილშიაც მუშაობს და მოქმედებს.

ხვალინდელი დღის მოქმედების ოპერატიული გეგმის გასინჯვა და დაზუსტება რომ დამთავრა. შემდეგ შტაბის უფროსს დაავალა, რათა გეგმა გადაეცათ ყველა შენაერთებისათვის.

მეთაური მარტო რჩება და ღრმა ფიქრებს ეძლევა. კანტიკუნტად ისმის სროლა. უზომოდ დაღლილია, მაგრამ ძილი არ ეკარება. ფიქრობს ხვალინდელ დღეზე. თავის შესახებაც ფიქრობს და მტერზეც. მტერს თავს დაესხმები აი ასე, აქედან. რა საშუალებას მიმართავდა თვითონ. მოწინააღმდეგის ადგილზე რომ ყოფილიყო, როგორ მოიქცეოდა? შესაძლოა მტერმაც ასე იფიქროს და იმოქმედოს. მაშინ...

ფიქრებმა უფრო გაიტაცეს, მაგრამ მძიმე დაღლილობისაგან თვალები ეხუჭება და გათენებისას ჩათვლემა...

* * *

... თვალწინ ეშლება ნაცნობი მინდორ-ველი და მთები, მწვანედ აფერადებული... პატარა ბიჭი სახლიდან გამოქცეულა და მწყემსებს შეჰკედლებია, ძალიან უყვარს მათთან ერთად ხეტიალი მთებში და სალამურის მოსმენა.

გამოქვაბულიდან მოისმის მისი უფროსი ძმის ხმა.

— ნიკო, ჰეი ნიკო!..

მას დაეძებს უფროსი ძმა და მწყემსებს ეკითხება:

— ტარიელს უმცროსი ბიჭი არ გინახავთ —ნიკო რომ ჰქვიან?..

— რომელი ტარიელისა?

— ტარიელ თავართქილაძის უმცროს ბიჭს დავეძებ, ის ჩემი ძმაა... სახლიდან დაიკარგა...

... ხიდისთავის ქუჩებში ცხენოსანი ჯგუფები მიდიან. ნიკოს ყურადღება მიიპყრო ცხენოსანთა ბრჭყვიალა სამხრეებმა. იგი ოცნებობს: როდესაც გავიზრდები, მეც ასეთ ტანსაცმელს ჩავიცვამ, იარაღს შეკიდავ და ცხენით ვივლი. წავალ ომში და მტერს დავამარცხებო. ზამთრის ღამეებში კი ჩაუჯდებოდა მამას კალთაში და უსმენდა ზღაპრებს გმირების შესახებ, გული არ უთმენდა—როდის გავიზრდები, რომ მეც გმირი გავხდეო.

— მეც გმირი უნდა გამოვიდე, არა მამა?..

ტარიელი იღიმებოდა, თავზე ხელს გადაუსვამდა ხოლმე და ეტყოდა:

— ჯერ გაიზარდე, ჭკვიანი ბიჭი გამოდი და მერე ვნახოთ, შესაძლოა მართლაც გმირი იყო. მაგრამ გმირობა ძნელია, შვილო, გმირის გზა ეკლიანია.

წლები წლებს მისდევდა, ბავშვი იზრდებოდა. სხვა ხალხებთან ერთად ქართველ ხალხსაც დაუდგა გაზაფხული, საქართველოც გაიფურჩქნა და წელში გაიმართა. 14 წლის ჭაბუკმა მრავალი ახალი რამ ნახა, ცხოვრებამ ის თავის ფერხულში მოიქცია და აამაღლა. რიგითი მებრძოლი იყო, შემდეგ ათეულის მეთაური. თავდადებული და შეუპოვარი მეცადინეობით იგი სახელოვანი მეთაური გახდა. სუვოროვისა და ბაგრატიონის სახელები გზის მაჩვენებელ შუქურებად გადაიქცა მისთვის. დივიზიამ, რომელსაც ის მეთაურობს, პირველმა გაარღვია მტრის სიმაგრეები და დაიკავა დონის ნაპირზე მდებარე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი—ცნობილი კ., რომელიც შემდეგ ჩვენი შეტევის ერთ-ერთ მთავარ წერტილად გადაიქცა. მოახლოვდა გადამწყვეტი ჟამი, ჩვენი ჯარის ნაწილი მუსრს ავლებდა მტერს და შეუპოვრად წინ მიდიოდა. დივიზიამ მიიღო გვარდიის დივიზიის სახელწოდება. ბელადმა მისალმება გამოგზავნა. ხიდისთაველ ტარიელს შვილის — ნიკოლოზ თავართქილაძის სახელი მთელ ფრონტს მოედო, როგორც გმირი და ნიჭიერი მეთაურის სახელი.

* * *

... ადიუტანტი მეთაურთან დანიშნულ დროზე გამოცხადდა. მოსულიყო ოპერატიული ცხობა ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ. მეთაურმა მოიხმო ქვეგანაყოფების უფროსები და გააცნო მათ მდგომარეობა.

ქალაქი მთელი თავისი მიდამოებით ჩვენი ჯარების მიერ გარშემორტყმულია... უნდა მოვსპოთ მტერი, ეს ჩვენზეც არის დამოკიდებული. ამხანაგებო, აბა მოუახლოვდით რუკას.

— ამოცანის სწორად გადაჭრა თქვენ ყველას სამამულო ომის გმირებთან ერთად ისტორიის ფურცლებზე აღგიბეჭდავთ. ქალაქ სტალინგრადში ჩვენ კიდევ შევიკრიბებით და მაშინ შევადასებთ თითოეულის ღვაწლსა და შრომას.

... ბრძოლა დაიწყო. მეთაურებმა იმოქმედეს თავართქილაძის მითითებით, შეღამებამდე ჩვენი რამდენიმე ქვეგანაყოფი ცდილობდა პირდაპირი შეტევა ეწარმოებინა დასახლებულ პუნქტებზე და მტრისთვის ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ბრძოლა ძნელი იყო და მის ძალას აღემატებოდა. ნამდვილად კი ძირითადი დამარტყმელი ძალები ელოდნენ კარგად დაღამებას, რათა სოფელში შეჭრილიყვნენ ზურგიდან. ესენი იყვნენ რჩეული პოლკები, შეიარაღებულნი ავტომატებითა და გრანატებით. როდესაც დადგა დრო, ისინი ჯგუფდებად დანაწილებული ისხდნენ ტანკებზე და ისე შეიჭრნენ სოფელში. ქვეგანაყოფებმაც დაიწყეს გადამწყვეტი შეტევა. მტერმა სცადა ძლიერი ცეცხლით შეეჩერებინა ისინი. ერთ-ერთი ქვეგანაყოფი ნელა მოქმედებდა. მისმა მეთაურმა ტელეფონით მოახსენა:

— მტერი ორგანიზებული ცეცხლით გვაიძულებს შეეჩერდეთ, წინ წაწევის საშუალება არ არის...

თავართქილაძემ ტელეფონის მილი დაადგა და იქ გაქანდა. მრისხანე ბრძოლის ქარცეცხლში შეიჭრა და საცეცხლე წერტილი სწრაფად დადაჯგუფა, რითაც მტრის ცეცხლის ძლიერება დაჩრდილა და უპირატესობა მოიპოვა. ფაშისტებს შეეშინდათ რკალში მომწყვდევისა, პანიკას მიეცნენ და სასწრაფოდ გაიქცნენ. ესენი გერმანელთა განადგურებული დივიზიის ნარჩენები იყვნენ.

— ჩვენ მათ დავეწევით. სტალინგრადში დავიჭერთ, პირველად არ ვხედებით მაგ დივიზიას პირისპირ, მასთან ბევრჯერ გვქონია ბრძოლები, ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს...

რკალი თანდათან უახლოვდებოდა ქალაქს, მაგრამ ბრძანება მტერზე ერთიანი თავდასხმის შესახებ ჯერ არ იყო. შუა ტანის კაცი, ეს ფიცხი და მოქნილი ადამიანი ახლაც, ამ მცირე შესვენების დროს, ჰაინც მოუსვენარი იყო. ის თავისთან უძახდა მეკავშირეებს, მზვერავებს, ნაღმსატყორცნელებს, სნაიპერებს და მათთან ერთად არჩევდა ბრძოლების გამოცდილებასა და შედეგებს. ხშირად თავს უყრიდა უმცროს მეთაურებს, შემდეგ საშუალო და უფროს შემადგენლობას და საუბრობდა მათთან.

მოვიდა ერთიანი დარტყმის დღე, ისტორიული დღე—10 იანვარი. ზურგიდან დარტყმის ოსტატობის მეთაურს დავალა მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი შეტევის ორგანიზაცია. თავის მებრძოლებთან ერთად ის ხელახლა შეიჭრა ბრძოლაში, სოლივით შეიჭრა მტრის ზურგში და მტერს ხელიდან ართმევდა დასახლებულ პუნქტებს. ჩვენ გადავდიოდით გერმანელთა გვამებზე. ჩვენი არტილერიის ცეცხლით მტრის ბლინდაჟები და სოფლების ქუჩები სავსე იყო გერმანელ ჯარისკაცთა ნაფლეთებით. იქ, სადაც მტერი გვიჯიუტდებოდა, ის სტოვებდა უთვალავ გვამებს.

ნიკოლოზ თავართქილაძე ცეცხლად იყო ქცეული, ის იმ ისტორიულ მიდამოებში იბრძოდა, სადაც 24-25 წლის წინათ თავი ისახელა ქართველი ხალხის ლეგენდარულმა გმირმა კიკვიძემ..

ტყვეების ჯგუფები განუწყვეტლივ ზურგში ავზავნებოდნენ. ისინი აჩრდილებს წაგავდნენ, გამხდარნი, ლონემიხდილნი, ყინვისაგან დამზრალნი, გათოშილი ხელ-ფეხით. მათ ადამიანის სახე აღარ შერჩენოდათ. თავებზე საბნები ჰქონდათ ფამოსხვული. ცახცახებდნენ სასოწარკვეთილებისაგან. ეს ისინი არიან, რომელნიც გუშინ დასცინოდნენ და აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, დღეს უკვე ლანძღვა-გინებით იხსენიებენ თავიანთ „ფიურერს“ და გაიძახიან.

— ჰიტლერ კაპუტ, კაპუტ...

* * *

... ზამთრის ბურუსიან დღეს გამოჩნდა სტალინგრადის დანგრეული შენობების სილუეტები. ეს ამაღელვებელი წუთი იყო ყველასათვის. მებრძოლები მოწიწებით გაჭყურებდნენ გმირ ქალაქს. დაინახა რა ქალაქი, თავართქილაძემ თავის „ჯარს“ მოუწოდა:

— აგერ, იქ შური უნდა ვიძიოთ მტერზე ჩვენი ცოლების, დების, ჩვენი ბავშვების უდანაშაულო სისხლის დაღვრისათვის... წინ, გმირებო!..

გვარდიელი გმირები ბელადის სახელობის ქალაქში შეიჭრნენ, იქ ათასობით სცელავდნენ მტერს და ბევრი მათგანიც ტყვედ მიჰყავდათ. მტერს ქალაქი ნანგრევებად გადაექცია...

ნიკოლოზ ტარიელის-ძე თავართქილაძე იმ გმირთა თაობას ეკუთვნის, რომელთა შესახებ ბევრი უნდა დაიწეროს და მოითხროს. ისე, როგორც დღეს ლეგენდარული გმირის კიკვიძის შესახებ გადმოგვცემენ ადამიანები.

ხიდისთაველი ტარიელ თავართქილაძის შვილიც გმირია, ლეგენდარული გმირი.

**თარგმანი არტ. დავითიანისა**

1943 წ. 2 თებერვალი
სტალინგრადი

# „ბრუსილოვი“ რუსთაველის სახელობის თეატრში

„ბრუსილოვი“ რუსთაველის თეატრში. სურათზე მსახიობები როლებში: **გ. დავითაშვილი** (ბრუსილოვი), **ნ. ალექსი-მესხიშვილი** (ბრუსილოვის ცოლი), **ე. აფხაიძე** (გენ. კურაპატკინი), **ა. აფხაიძე** (გენ. კორნილოვი), **ნ. ყაზაიშვილი** (ლუდენდორფი), **დ. მჟავია** (გენ. ევერტი).

გმირული სამამულო ომის დღეებში ჩვენი ქვეყანა კანონიერი სიამაყის გრძნობით იგონებს ყოველ ისეთ ისტორიულ ფაქტს, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჩვენს ხალხს ვაჟკაცურად უკუუქცევია შემოსეული მტერი, გამანადგურებელი დარტყმა უგემებია გათავხედებული გერმანული იმპერიალიზმისათვის. ხალხი დიდებისა და სიყვარულის უტკბობი შარავანდედით მოსავს თავისი ისტორიის ყოველ ისეთ გმირს, რომელსაც თავდადებულად უბრძოლნია სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, ამ ბრძოლაში სიმამაცისა და უშიშრობის, პატრიოტული თავგანწირულების ამაღელვებელი მაგალითი მიუცია შთამომავლობისათვის.

სწორედ ამიტომ ცოცხლობს ჩვენი ხალხის სულიერ ში შესანიშნავი რუსი სარდალი—გენერალ ბრუსილოვის სახე, სწორედ ამიტომ წარმოადგენს იგი ახლა განსაკუთრებით ცხოველი ინტერესისა და ყურადღების საგანს.

გერმანიის იმპერიალისტური ბუნუოზიის მიერ თავისი საერთაშორისო ჰეგემონიის მოპოვების მიზნით მოწყობილ პირველ მსოფლიო ომში გენერალმა ბრუსილოვმა საქვეყნოდ ასახელა რუსული იარაღის ძალა; მის მიერ უდიდესი ოსტატობით მოფიქრებულმა და ბრწყინვალედ განხორციელებულმა სტრატეგიულმა გეგმამ საბედისწეროდ შეაღაყია ვილჰელმ მეორის იმპერია და გადამწყვეტი როლი შეასრულა იმ კატასტროფის მომზადებაში, რომელიც გერმანიამ განიცადა პირველ იმპერიალისტურ ომში.

ბრუსილოვის მიერ მოწყობილი გარღვევა რუსული სამხედრო ხელოვნების ისტორიის ბრწყინვალე ფურცელია, იგი რუსი ხალხის უძლეველობის, მისი ქედუხრელობისა და პატრიოტული თავგანწირულობის დიდებული და წარუშლელი დოკუმენტია.

ამ ღრმად მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის საფუძველზეა აგებული ილია სელვინსკის პიესა „ბრუსილოვი“.

მხატვრული სიმართლით და შთამაგონებელი ძალით არის გამოკვეთილი ამ ნაწარმოების დიდი რუსი პატრიოტის, გბედეული სტრატეგისა და იშვიათი მხედართმთავრის ბრუსილოვის სახე, რომელიც მთლიანად გამსჭვალულია სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და სამშობლოს მტრებისადმი სიძულვილის წმინდა გრძნობით.

ეს გრძნობა გზას უნათებდა და მხნეობას მატებდა ბრუსილოვს იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებდა კარიერისტი და მშიშარა, რეტინიორი და სამშობლოს მოღალატე გენერლებისა და მათი მფარველი მეფის—ნიკოლოზ მეორის წინააღმდეგ.

ბრუსილოვის ეს ბრძოლა წარმოადგენს პიესაში ასახული დრამის საფუძველს. ჩვენს თვალწინ იშლება ამ მძაფრი და დაძაბული ბრძოლის ამაღელვებელი სურათები, რომელთა თანშიმდევრული მსვლელობა მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ მიიყვანა ბრუსილოვი სამშობლოს სიყვარულმა და თავისი ხალხისადმი მტკიცე რწმენამ თვითმპყრობელობის უარყოფამდე, რევოლუციის აუცილებლობის აღიარებამდე, ხალხის მხარეზე აშკარად და გაბედულად გადმოსვლამდე.

მომქმედი ხასიათების მკვეთრი და კოლორიტული მხატვრობა, სიტყვიერი მასალის სიმძაფრე და პოეტური დახვეწილობა, ისტორიული კონცეპციის სიმართლე და მთლიანად პიესის ღრმა სადღეისო აქტუალობა შეადგენენ ი. სელვინსკის ნაწარმოების იმ ღირსებებს, რომელთა მეოხებით იგი საპატიო ადგილს იკავებს საბჭოთა თეატრის რეპერტუარში.

მაგრამ პიესას აკლია წოქმედების ის ცხოველმყოფელობა, სიუჟეტის დაძაბულობა და თანმიმდევრული აღმავლობა, რაც აუცილებელია დრამატიული ნაწარმოების წარმატებისათვის. სიტყვისა და არა მოქმედების საშუალებით გადმოგვცემს ავტორი თავის პიესაში გამოხატულ ისტორიულ მოვლენათა განვითარებას. პიესაში ვერ არის მიღწეული ის ჰარმონია გამოსახვის სიტყვიერ და სანახაობითს საშუალებათა შორის, რაც დრამატურგიული ქმნილების სპეციფიკას წარმოადგენს. ამაში მდგომარეობს „ბრუსილოვის“ სცენიური განსახიერების სირთულე და სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემობა, რომ სპექტაკლს მთელ რიგ შემთხვევებში აკლია ემოციური ზემოქმედების ძალა, მიუხედავად იმ სერიოზული, გულმოდგინე შემოქმედებითი მუშაობისა, რაც ამ სპექტაკლის შექმნისას ჩაუტარებიათ პიესის დამდგმელს აკ. ვასაძეს და შემსრულებელთა მთელ კოლექტივს.

ეს სპექტაკლი როგორც თავისი ღირსებებით, ისე ნაკლოვანებებითაც, საყურადღებო მოვლენაა რუსთაველის თეატრის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის გარემობა, რომ ამ წარმოდგენაში ნასახიც აღარ არის რაიმე თვითმიზნური სცენიური ეფექტებისა. ყველაფერი აქ აზრის მკაფიოდ და დამაჯერებლად გამოხატვის ამოცანისადმია დაქვემდებარებული და მეზანდასახულობის ამ გარკვეულ ამოცანას ემსახურება როგორც ს. ვირსალაძის მიერ დიდი გემოვნებით შესრულებული მხატვრობა სპექტაკლისა, ისე ა. ბალანჩივაძის მიერ ამ დადგმისათვის დაწერილი მუსიკა.

ლრმა ტემპერამენტით და შინაგანი დრამატიზმით აღბეჭდილი სახე შეჰქმნა გ. დავითაშვილმა გენერალ ბრუსილოვის როლში. ამ სახეში მსახიობმა ოსტატურად შეათავსა ზურგალე პატრიოტის გული, გაბედული და ქედუხრელი მებრძოლის ნებისყოფა და გამჭრიახი სამხედრო სტრატეგის შორსმხედველი აზრი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შესანიშნავი რუსი მხედართმთავრის როლმა გ. დავითაშვილის სახით ღირსეული შემსრულებელი ჰპოვა ქართულ სცენაზე, რომ ეს როლი მსახიობის ნამდვილი შემოქმედებითი გამარჯვებაა.

მდიდარი და გონებამახვილურად შეხამებული სცენიური საღებავებით წარმოგვისახავს ემ. აფხაიძემ გენერალ კურაპატკინის პიროვნება. მხდალი, მერყევი, უპირნეციპო და თავისი „მუნდირის ღირსების“ წვრილმანი აზრით შეპყრობილი ამ გენერლის სახით მსახიობმა გვიჩვენა მთელი ის გარემოცვა, რომელთანაც გამძაფრებულ წინააღმდეგობაში იწრთობოდა ბრუსილოვის მდიდარი ბუნება.

მეტად კოლორიტული სახე შეჰქმნა აგრეთვე მსახიობმა გ. სარჩიმელიძემ ჩამორჩენილი, გონებაგაყინული კარიერისტის — გენერალ ცურიკოვის როლში. მის მიერ შექმნილი მხატვრული სახე ტიპიური განზოგადების სიმაღლემდეა აყვანილი და თანაც ცოცხალი ინდივიდუალურ სახეს წარმოადგენს. მხატვრული დამაჯერებლობით და ისტორიულ პიროვნებათა სწორი გაგებით ახასიათებენ თავიანთ როლებს დ. მჟავია (გენერალი ევერტი), ალ. აფხაიძე (გენერალი კორნილოვი).

ვერ ვიტყვით, რომ ყველა როლი ამ დადგმაში თანაბარი ძალით და მხატვრული სიმართლით იყოს დამუშავებული. მაგალითად, მკრთალია გ. ბეუუშვილის მიერ შესრულებული როლი ნიკოლოზ მეორისა. მსახიობმა ვერ შესძლო გადმოეცა თვითმპყრობელური რუსეთის ამ მეთაურის დამახასიათებელი თვისებანი. ასევე ლუდენდორფის სახეში შესაფერი ძალით ვერ არის გამოხატული გერმანული იმპერიალიზმის ამ ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურის ბუნება, თუმცა ამ როლის შესრულებით ლ. ყაზაიშვილმა თავისი შემოქმედებითი ზრდის უეჭველი მაგალითი გვიჩვენა. ნაღებედა ვლადიმიროვნის როლში მსახიობმა ნ. ალექსი-მესხიშვილმა შესძლო ცოცხალი ადამიანური სახის შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ პიესაში ეს როლი მეტად ძუნწად და მკრთალად არის მოცემული. ყურადღებას იმსახურებენ ეპიზოდური როლების შემსრულებელნი თ. ტატიშვილი (ვახმისტრი კოვალიოვი) და მ. გეგეჭკორი (ჰუსერლი).

მაყურებელი გულთბილად ღებულობს ამ სპექტაკლს. რადგან მასში თავისი უწმიდესი პატრიოტული გრძნობების გამოხატულებას ზედავს.

**ბ. ჟღენტი**





# დღეიღეგი

## ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის სოლიდარობა სტალინგრადის გმირი დამცველებისადმი

**ლონდონი,** 28 ივნისი (საკდესი). საბჭოთა კავშირისადმი დახმარების გაერთიანებული კომიტეტის ინიციატივით ინგლისში ეწყობა ფართო საზოგადოებრივი კამპანია სახსრების შესაგროვებლად, რაც უნდა მოხმარდეს სტალინგრადში ჰოსპიტლის აგებას. კამპანიის მოწყობაში მონაწილეობენ ინგლისუს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. კამპანია მიმდინარეობს სტალინგრადის გმირ დამცველთადმი ინგლისელი ხალხის მხურვალე სოლიდარობის ნიშნად. მაგალითად, მონმუტშირში კამპანიაში მონაწილეობს 42.000 მუშა.

**ნიუ-იორკი,** 28 ივნისი (საკდესი). ამერიკის შრომის ფედერაციამ, ნიუ-იორკის საწარმოო პროფკავშირთა და დამოუკიდებელ პროფკავშირთა კონგრესმა გადასწყვიტეს პროფკავშირთა წევრებს შორის შეგროვებული სახსრებით ააგონ ჰოსპიტალი სტალინგრადის მცხოვრებთათვის.

მკერავთა გაერთიანებული კავშირის თავმჯდომარემ ჰილმენმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზე ნიუ-იორკში, განაცხადა, რომ ქალ. ნიუ-იორკის პროფკავშირთა წევრებმა გადასწყვიტეს 250.000 დოლარი შეაგროვონ ამ მიზნისათვის.

## მერეისა და გრინის მიმართვა რუზველტისადმი

**ნიუ-იორკი,** 26 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის შრომის ფედერაციის